№ 23 30 იანვარი, ოთხშაბათი. 1866--1880 30 იანვარ, სოთხაბათი. № 23

რედაქცია

ერევნის მოედანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროების“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію Дроэба“ - „Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

		წელიწადში.	6 თვეს:	3 თვეს
„დროება“ და „ივერია“ ერთად		13 მან.	7 მან.	4 მ.
ცალკე	„დროება“	9 მან.	5 მან.	3 მ.
	„ივერია“	6 მან.	4 მან.	2 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ტელეგრამმები

—

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

კალკუტტა, 28 იანვარს. მოლა მუშადი ალიმ, რომელიც გაზნას არის მაჰმედ ჯანთან ერთად, მოიწვია ავღანელები ხელ-ახლად ომის დაწყობისათვის. კოჰისტანელებმა და გილზაებმა თანაგრძნობა გამოუცხადეს.

დამნაშავე და სასჯელი

თფილისი, 29 იანვარს.

მთელი ქალაქი დაესწრო გუშინ საზიზღარ, შესაძრწუნებელ სურათს: „ღვთის სახით და ღვთის მსგავსად“ გაჩენილი კაცი დაიჭირეს, ასწიეს თოკზე და წიწილასავით ჩამოაღრჩეს...

რამდენ ფიქრს, რამდენ სხვა-და-სხვა გვარ სჯასა და მოსაზრებას დაბადებს ადამიანის თავში ეს გარემოება?!

რამ მიიყვანა ეს კაცი იქამდინ, რომ ასე ძალ-დატანებით მოსაკლელი და ჩამოსახრჩობი შეიქნა?

რა გარემოების წყალობით შეიქნა ის იმდენად მავნე საზოგადოებისათვის, რომ ეს საზოგადოება, ანუ იმის წარმომადგენელი მთავრობა, იძულებული შეიქნა ასე სასტიკად, ასე შეუბრალებლად მოესპო იმისათვის ბუნებისაგან მინიჭებული სიცოცხლე?

განა, სიკვდილით დასჯის გარდა, სხვა რომელიმე ღონის-ძიება არა აქვს საზოგადოებას, რომ ამ გვარი ბოროტი პირები „მოაქრისტიანოს“, მოარჯულოს, კაცობრიულ პატიოსან გზაზე დააყენოს?

ვინ არის დამნაშავე, რომ ახლანდელ დროში, ჩვენს საზოგადოებაში ამისთანა მავნებელი და ბოროტ-მოქმედი პირები გამოდიან?

და რამდენი სხვა ამისთანა კითხვები იბადება კაცის თავში, როდესაც ამ გვარ სურათს ნახავ შენის თვალითა.

ვინ იყო ტატო წულუკიძე და რა გარემოებათა მიაღწევინეს ის სახრჩობელამდინ!

იმასაც მთელი ქვეყანა იცნობს და იმის დედ-მამასაც. დედ-მამა პატიოსანი, მშრომელი, მშვიდობიანი ხალხია. მამა ფიცრებით ვაჭრობს; იმის ცუდ-კაცობა თავის დღეში არ გაუგონია კაცს.

თვითონ ტატო ჯერ გიმნაზიაში იყო, სწავლობდა. მაგრამ, რაღაც მიზეზის გამო, გამოაგდეს გიმნაზიიდამ. მამამ მკერვალს მიაბარა ის შეგირდათ, უნდოდა ხელოსანი კაცი გამოსულიყო. ყველა, ვინც კი იცნობდა იმას მაშინ, ამბობს, რომ კარგი მშრომელი, ნიჭიერი შაგირდი იყოვო, კარგი საამხანაგო, პატიოსანი ბიჭიო.

ამ ნაირად გზა იმის გაკვლეული იყო: რამდენიმე წლის განმავალობაში როგორც იქნებოდა, ბევრი ცემა-ტყეპის მიღების შემდეგ, ის შეისწავლიდა მკერვლის ხელობას და ბოლოს თვითონაც გახსნიდა საკუთარ თერძიკის დუქანს.

მაგრამ აქ ერთი რაღაც პატარა, უსაბედი უბედურება შეემთხვა: ერთი ვიღაც გაცარცვეს ალექსანდროვის ბაღში. კაცმა არ იცის ბეჯითად: ერია ამ საქმეში ტატო, თუ არა. მაგრამ იმას კი დააბრალეს ეს გაცარცვა, სტაცეს ხელი და რამდენიმე წლით ციხეში ჩასვეს.

ყველამ იცით—რა ხალხია ჩვენს ციხეში. ანგელოზიც რომ შეიყვანო იქ, ერთის წლის შემდეგ, მავნე სულად, ეშმაკად გარდაიქცევა.

როცა ვადა გაუთავდა ტუსაღობისა, საპყრობილიდამ მზა-მზარეული ავაზაკი, ყოველ ბოროტებაში გაქნილი და განვითარებული კაცი გამოვიდა.

გამოვიდა და შეუდგა იმ ხელობას, რომელიც ციხეში შეისწავლა. თვითონ ტატომ სთქვა, რომ „ტყუილ-უბრალოთ ჩამსვეს პირველად ციხეშიო, რო გამოვედი იქიდამ, მთელს ქვეყანაზე გაჯავრებული ვიყავიო და ვსთქვი ჩემ გუნებაშიო: რადგანც მანგრეა, მაშ მე ვიცი—როგორ უნდა ავაზაკობა და კაცის ცარცვა-გლეჯაო!“

და მართლაც ამ დღიდამ იწყება ტატოს ოინები, იმის სახელის განთქმა მთელს კავკასიაში. მშვენიერი შესახედავი, მაღალი, წამოსადეგი ბიჭი იყო, მარჯვე, ღონიერი, გამბედავი, ცქვიტი, თან მოხერხებული, გონება-მახვილი და მარჯვე ენის პატრონი.

ამისთანა კაცი რა საქმესაც დაადგება, თითქმის ყოველთვის ამ საქმეში პირველი და გამოჩენილი შეიქნება. ტატო ბოროტების გზას დაადგა და ამაში გამოიჩინა თავი. რამდენიმე წლის განმავალობაში ტატოს სახელი მთელს ჩვენს ქვეყანაში განთქმული იყო, ბავშებსაც კი იმის სახელით აძინებდნენ. სადაც ბოროტი და ავაზაკი ხალხი იყო, ყველა იმის ფრთებ ქვეშ ამოფარებას, იმის ხელქვეითობას ცდილობდა; თუ ტატოსთან ვიქნებით, საშოვარი არ მოგვაკლდება და დაჭერის შიშიც აღარ გვექნებაო.

ტატო საარაკო ავაზაკად შეიქნა. ღენერლის ტანისამოსითაც კი დასეირნობდა ის ქალაქში; პოლიციასაც კი ათასჯერ გაუსხლტა ხელიდამ; ტყვია იმას არ ეკარება; დღეს რომ თფილისშია, ხვალ თავის მშვენიერ ცხენზე შეჯდება და სურამში ან დუშეთში ამოჰყოფს თავსა და სხვ. და სხვ. ერთის სიტყვით, იმის ამბავი, იმის „ვაჟკაცობა“ ახლაც ლეგენდათ გარდაქცეულა...

ბოლოს, მოგეხსენებათ, ეს საარაკო კაცი ყარსის მახლობლად დაიჭირეს და სახრჩობელაზედ ასწიეს. შეჭველია, ახლანდელის ჩვენის კანონით, ეს ბოლო უნდა ჰქონოდა იმ გზაზე დამდგარ კაცს, რა გზაზედაც ის იდგა.

მაგრამ საქმე იმაშია—რად იდგა ის ამ გზაზე? რამ აიძულა მხნე, მარჯვე, ჭკვიანი კაცი, რომ მაინცა-და-მაინც ბოროტების გზას დამდგარიყო?

მაგრამ განა ეს ერთია, რომ ასე ილუპება. რამდენი სხვა, რომელსაც შეეძლო კარგი სასარგებლო წევრი გამხდარიყო საზოგადოებისა, ციმბირის გზაზე დამდგარან! ჰხედავ, კარგი ნიჭიერი, ცოცხალი ყმაწვილია. რამდენიმე წლის შემდეგ გესმის, რომ ეს ყმაწვილი ავაზაკი შექმნილა, დაუჭირავსთ და ციმბირში იგზავნება.

ფელტონი

—

დედა და შვილი

შავით მოსილსა დედასა,
შენიშნა მწარე ღიმილი
და ტიტინითა მივარდა
პატარა იმისი შვილი:

—

„— დედილო, რას მოგწყენია?
რათ დაგიხრია თავიო?
ქვრივი არა ხარ, რას ეძებ,
და რათ გაცვია შავიო?

—

„ბევრჯერ მინახავს კურცხალი
წამწამზედ მოდებულიო
და გულში ჩაკრულს, მსმენია,
რომ სხვებ გიძგერდა გულიო.

—

„და ეგ ღიმილი რას ნიშნავს,
ან ეგ ამოხვრა მწარიო,
ან წამწამებზედ კურცხალი,
ან გულის ძგერა ჩქარიო?

—

„შენსა პატარა გიორგის,
მითხარი, ნულარ ჰმალამო...
რომ მოგიძებნო როდისმე
მაგ წყლულის გულის მალამო!...“

—

„— შვილო, შენ კი გენაცვალოს
საბრალო დედა შენიო!
ნუ ჰფიქრობ, მარტო განკურნო
ჩემი მტანჯავი სენიო!

—

„კურცხალი, უცებ ამოჰხვრა
და ეს ღიმილი წყნარიო
სულ ყველა იმ დიდ-მიზეზის
ნაწარმოები არიო!

—

„ეს არის, შვილო, მიზეზი
იმ ჩემის გულის ძგერისა
და ნუ გშურს მუშა შეიქმნე
ჩვენის საბრალო ერისა!

—

„— დედილო, მომეც . . . .
რომ ავასრულო ვალიო!..“
„— ადრეა, შვილო, ჯერ კიდევ
წიგნია შენი ხრმალიო!“

—

წიგნი მოსთხოვა დედასა
აღელვებულმა ყმაწვილმა
და მშობლის სახეც აღბეჭდა
რაღაც იმედის ღიმილმა...

აკაკი.

◆

კინტოს სიმღერა

საყვარლისა ეშხზედა
ღვინო დამილევია
მისს ხსოვნა-სიყვარულში
სულიც დამილევია!

—

მისმა შუქმა დამადნო,
სიცოცხლეც დამწვარია.
დღე-დღეობით მზე არის
ღამ-ღამობით მთვარეა!

—

მისი ცეცხლი ამ გულსა
აროდეს არ ნელდება:
თუ იმას არ უყურებ,
დღე ნათელი ბნელდება.

—

მაშინ ვკვდები სევდითა,
სისხლის ცრემლით ვსტირი მე!
სანამ არ მანუგეშებს,
იმისი კი ჭირიმე!...

—

საყვარლისა ეშხზედა
ღვინო დამილევია,
მისს ხსოვნა-სიყვარულში
სულიც დამილევია!...

აკაკი.

რა არის ამის მიზეზი? ვინ ჰკრავს ყმაწვილ-კაცს ხელს ავაზაკობისა და ბოროტების გზისაკენ?

ჩვენ ვიცით მხოლოთ ეს, რომ ბოროტად და ავაზაკად ბუნება არავის არ აჩენს. ახლად დაბადებული ადამიანი წმინდა სანთელია: რასაც გინდა, იმას გააკეთებ იმისაგან, როგორი სახეც გინდა იმას მისცემ. თუ კარგი ყურისმგდებელი ჰყავს, თუ კარგი გარემოებანი არტყია გარშემო, თუ კარგად გამზრდელი მშობლები ჰყავს, კარგი საზოგადოება, მაშინ ამისაგანაც კარგი, პატიოსანი და საზოგადოებისათვის სასარგებლო წევრი და, მუშა გამოვა; თუ არა და ისიც ისეთივე ბოროტი და ცუდი გამოვა, როგორც გარემოებანი და საზოგადოება.

ფილოსოფოსმა ეს ჭეშმარიტება წარმოსთქვა:

„კერძო, განცალკევებული კაცი არის ნაწარმოები, შვილი იმ საზოგადოებისა ანუ ხალხისა და გარემოებისა, რომელშიაც ეს კაცი ცხოვრებდა“.

ახალი ამბები

მოგვყავს კიდევ ზოგიერთი დაწვრილებითი ამბავი ტატო წულუკიძის ჩამოღრჩობის თაობაზედ.

თვითონ იმას უთხოვნია თურმე, რომ სახეზე ნურაფერს ჩამომაფარებთ, ისე დამაღრჩვეთო.

ორშაბათ დღეს, როდესაც უნდა ჩამოეხრჩოთ, მთელი დღის განმავალობაში ტატოს დედ-მამის სადგომზე ყარაულები იდგნენ თურმე იმ განზრახვით, რომ გარეთ არ გამოეშოთ.

იმის ახლო ნათესავებში მხოლოდ გათხოვილი და დაესწრო ძმის საშინელ თავ-გადასავალს. როცა ყველაფერი გათავდა და უკან დაბრუნდა, მთელი გზა, შუა-ბაზარი ერთის წივილ-კივილითა და ტირილით გამოატარეს ფაიტონით.

ამბობენ, როცა მღვდელმა ეშაფოტზე მდგარს აღსარება ათქმევინაო, ტატომ სთქვაო, რომ „ღმერთი მოწამეა, რო მე იმ საქმეში ბრალი რა მაქეს და მალეც შეიტყობთ ვინცა არიან ნამდვილი დამნაშავეები!“

ორი საათის განმავალობაში ეკიდა სახრჩობელაზედ, შემდეგ ქალაქის ექიმმა, ბახუტოვმა შეამოწმა, რომ ნამდვილად მკვდარიაო, ჩამოიღეს თოკიდამ და იქვე დამარხეს.

* * *

„თფილისის მოამბე“ გვაცნობებს, რომ გუშინ-წინ 28 იანვარს, უფ. თფილისის ღუბერნატორის მოწვევით ღუბერნიის სამმართველოში (უპრავლენიაში) შეკრებილნი ყოფილან უეზდის უფროსები და მოლაპარაკება ჰქონიათ იმაზედ—თუ რა ღონისძიება უნდა იხმაროს ადმინისტრაციამ სიძვირისაგან გაჭირებულ ხალხის დასახმარებლად.

* * *

ადგილობრივ ადმინისტრაციას აქვს თურმე ამ ჟამად სჯა კალიის გაწყვეტაზედაც. ამბობენ, რომ ამ საგნის თაობაზედ დანიშნულ კომისიის გამოანგარიშებით, თფილისის გუბერნიაში კალიის თესლის ამოსაწყვეტათ უკანასკნელი 5,700 კაცის მუშაობა დასჭირდება ოცის დღის განმავალობაშიო; ამ მუშებს ხაზინიდამ უნდა მიეცესთ სარჩო და საჭირო იარაღებიო, და ამნაირად ეს კალიის ამოწყვეტა 30,000 მანეთად დაჯდებაო.

* * *

რაჭიდამ გვწერენ, რომ ჩვენის უეზდის რამდენსამე სოფელში არის შკოლები გახსნილიო, მაგრამ, საუბედუროთ ყველა ამ შკოლებში სწავლა ერთობსუსტად და უთავ-ბოლოდ მიდისო. ამის მიზეზად კორრესპონდენტს, სხვათა შორის, ის გარემოება მიაჩნია, რომ აქაურ შკოლის მასწავლებლებს ცოტა ჯამაგირი აქვთ და ხეირიანი არავინ მოდისო. ამას გარდა ქუთაისის გუბერნიის სახალხო შკოლების დირექტორიც კარგათ არ ადევნებს თვალ-ყურს აქაურ მიყრუებულ შკოლებსაო.

„დროების“ კორრესპონდენცია

თელავი, 16 იანვარს. გავლილ 1879-ში თელავის საზოგადოება რაღაც მღელვარებაში იყო თითქო შეუტყვია თავისი წარსული შეცდომილება და ახლა სურს გამოიღვიძოს ლიტარგიული ძილიდგან;—ესეც ერთი წარმატების ნიშანია.

წარსულ თვეებში, ჩვენი მაზრის უფროსის მიწვევით, შევიყარენით მაზრის უპრავლენიის ზალაში. მიწვევის მიზეზი თუმცა წინათ არ ვიცოდით, მაგრამ დიდის სიამოვნებით საღამოს საათის 6 წავესდექით დანიშნულ ადგილს. ყრილობაში იპოვებოდნენ ყველა ნაირი და ხარისხის ხალხი.

მაზრის უფროსმა ყრილობას წინადადება მისცა თელავში სამოქალაქო ბანკის გაღებაზედ. წაიკითხეს ბანკის წესდება და შემდეგ აღმოირჩიეს ოთხი მოქალაქე, რომ ეს საქმე აღსრულებაში მოიყვანონ. თუმცა უფ. მაზრის უფროსმა ჩააგონა ხალხს ბანკის სარგებლობა და თუმცა მაშინათვე ყრილობამ აღიარა, რომ ბანკის დაარსება ჩვენს ქალაქს დიდს სარგებლობას მოუტანსო, მაგრამ ბოლოს გამოვიდა მგლის თავზედ სახარების წაკითხვა! მაზრის უფროსმა სთქვა, რამდენიმე წელიწადიაო, თელავის შემოსავალს გასავალი ვერ დაუფარავსო და ამის გამო ჩვენ ქალაქს დიდი ვალი—ნედოიმკა აქვსო, ბანკს შეუძლიან ეს ვალი მოაშოროს ქალაქსაო. ბანკის გახსნით, რასაკვირველია ზოგიერთების ჯიბეს აკლდება თუმანზედ ათი შაურის სარგებელის აღება, მაგრამ მაგიერად მთელი ქალაქი ისარგებლებსო და სხვ.

როგორც ზევითა ვსთქვი, თუმცა პირველათ ყველამ თანაუგრძნო მაზრის უფროსს, მაგრამ როდესაც ჯერი მიადგა ხელის მოწერას, მაშინ ჩვენმა მყვირალებმა კიბორჩხალასავით უკან-უკან დაიწიეს; ისე გაძვრნენ იმ ხალხში, როგორც ლობე-მძვრალა ჯაგებში. ხელის-მოწერით უნდა შეკრებულიყო 5,000 მანეთი და ერთი მაგოდენაც, მაზრის უფროსის შუამავლობით, საზოგადოებას უნდა ესესხნა მთავრობიდგან მცირედი სარგებლით; მაგრამ კრებაში არათუ 5,000, არამედ 500 მანეთიც ვერ მოგროვდა.

მეორე დღეს შევიტყეთ, რომ მდიდრებიდგან რამდენიმე პირს უსურვია თელავში სავაჭრო ბანკის გახსნა, რომ ჯიბეები უფრო დაიმსხვილონ. ათი პირნი ჩამოსულან ას-ასი თუმანი და ხელათ შეუდგენიათ ათას თუმნიანი ჯამი. ამ ათ პირს ეკუთვნის სავაჭრო ბანკის დაარსების ინიციატივა, მაშასადამე მთელი ბანკის სარგებლობაც მაგათი უნდა იყვეს. ჰაიდე!

რადგან ამ ვაჭრების აზრი ჯერ სისრულეში არ იყო მოყვანილი, ამის გამო მაზრის უფროსმა კიდევ ყრილობა მოახდინა და გაავრცელა ხელის-მოწერა. ვნახოთ ბოლოს რა გამოვა...

აგრე: ჩვენი თელაველები ორ კურდღელს გამოუდგნენ და ვაი თუ ვერც ერთი ვერ დაიჭირეს! თუ ერთი თოვლში ჩაიფლა, იმედია მეორის დაჭერისა...

სწორეთ ამ ნადირობის დროს იყო, რომ გამოვარდა მესამე კურდღელი და ნადირობა უფრო გაძნელდა. ეგ კურდღელი გახლავს „დამზოგველთა საზოგადოება (**общество бережливости**).“ ამისთვისაც კრება მოხდა. კრებაში ერთმა პირმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც კიკოლიკას სიზმარზედ უფრო გრძელი იყო. საუბედუროთ ამ სიტყვის მეტი ამ საქმის თაობაზედ ჯერ-ჯერობით არა გაკეთებულა-რა.

კიდევ გამოვარდნენ სხვა კურდღლებიც: შეადგინეს: „პედაგოგიური კრება,“ რომელშიაც ყველას ხმა აქვს, მხოლოთ თავს-მჯდომარის პატივი რჩებათ პედაგოგებს. მიზანიც ის არის ამათი, მგონი, რომ პედაგოგებმა თავიანთ თავი თავს-მჯდომარეთ ნახონ.

ამ ყრილობაში გაიღვიძა ჩვენმა მომავალმა კლუბის დაარსების აზრმა. მაშინათვე გააკეთეს ქაღალდი და შეუდგნენ ხელის-მოწერას. ნიშნებით სჩანს, რომ კლუბის გაღება თავს უნდა მოვიდეს, იმიტომ რომ ქაღალდის თამაშობას არავინ უარს არა ჰყოფს. ამ მოკლე ხანში კიდევ მოხდა ყრილობა „პირუტყვების დამცველ საზოგადოების“ შერდგენაზედ. ყრილობაში იყვნენ: ერთი ღვდელი, ერთი ზემლემერი, ერთ-ნახევარი მოქალაქე და ორი პედაგოგი.. ვნახოთ თუ თელაველებმა რა ქნან? გაიგებთ რაღა!? ვნახოთ თუ ამათ სიტყვით რკინის გზები და ჰაერში ციხეებიც არ გააკეთონ!

ჩვენი მაზრის უფროსის თაოსნობით, ახლა თელავს აქვს 40 მშვენიერი ფანრები, მაგრამ ხანდისხან ჩვენი ფოდრიადჩიკი კარგათ არ ანთებს,—იქნება მიზეზი ის იყოს, რომ ამბობენ ზარალობსო.

პირველი გზები თელავისა გაგვიკეთდა მშვენიერი შოსეებით; იმედია, რომ გაზაფხულზედ დანარჩენებიც დასრულდება. ღვთის წინაშე ჩვენი მაზრის უფროსი ბევრ კარგს ზრუნავს ჩვენთვის...

თელაველი.

◆

სოფ. საგარეჯო, 26 იანვარს. ყველამ იცის, თუ თაგვებმა რა დღე დააყენეს შარშან ივრის ხეობის ნახნავ-ნათესს და რა მდგომარეობაში ჩაცვივდა ხალხი მოუსავლობისა გამო. შემოდგომაზე, როცა თბილი დღეები იყო და თაგვი უფრო-და-უფრო ხელდებოდა, ხალხი უფრო ძალიან შეშინდა,—ეგონა, მეორე მოსავალსაც უსათუოდ მოგვიჭამსო და ისეც უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ახლა ისეთი რუსეთული ყინვები დაიჭირა, რომ, არამც თუ თაგვს შეეძლო მინდორში ცხოვრება, არამედ სახლებშიაც სიცივით ბევრნი ძაგძაგებდნენ; ოთახში ტერმომეტრი ხანდის-ხან ნულის ქვემოთ ჩამოდიოდა. გარეთ. ხომ უარესი იყო.

თუმცა ასეთი საშინელი ყინვები იყო, მაგრამ ხალხი არას იმჩნევდა და როცა ერთმანერთს შეხვდებოდნენ მინდვრიდგან მომავალს კაცს, ჰკითხავდნენ:— კაცო, ის მუდრეგა თაგვები არ დაიხოცნენ?—როგორ არა, ერთ კაჭახზე ვნახე სამი ზედ ასულიყო და გაშეშებულიყვნენ. ერთ ხეზე სწორეთ თხუთმეტი მოვთვალე გაფიჩხებული.—აი დიდება შენთვის ღმერთო!—ამბობდა მესამე.

ახლა ეს ხუთიოდე დღეა, ცოტა მოთბა, კარგი დღეები დაიჭირა,—საჭიროა კარგი დღეები ვენახის მუშაობისათვის.

ოცს იანვარს იყო ივრის გამსესხებელ შემნახველ ამხანაგობის ყრილობა. ძალიან ბლომათ ხალხი შეიყარა, ასე რომ არა დროს არ ყოფილა ყრილობაზე ამოდენა ხალხი. ფრიად საინტერესო იყო ეს ყრილობა, რადგანაც სხვა-და-სხვა სოფლებიდგან იყვნენ მოსულნი.

წლიური ანგარიშის განხილვის შემდეგ და დამტკიცებისა ერთმა მართველმა მისცა წინადადება ყრილობას, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში:

„მე ვხედავ, რომ ამ წელიწადს ჩვენის საზოგადოებისთვის ფრიად საჭირო არის თფილისის ბანკებში კრედიტის გახსნა, ოთხას თუმანზე, მისთვის რომ ხალხს ძალიან ეჭირება ფულები; უპურობისა გამო სესხულობენ ფულებს კერძო პირებისაგან, რომლებსაც თავიანთ ნაწარმოებს უკვეთამენ ძალიან ნაკლებ ფასებათ, ასე რომ საგაისოთაც მოსავალი ვაჭრების ხელში გადავა და ხალხი ისევ დაიმშევა. მთავრობამ პური ნაკლებ ფასათ მოგვცა, ახლა ფულია ხალხისათვის საჭირო, რო ეს პური იყიდოს, რო ვაჭარს ფულისთვის კარზე აღარ მიადგეს. თუმცა აქამდინ ჩვენს ბანკს ცა-

რიელი არც ერთი მთხოვნელი არ გაუბრუნებია, ზოგიერთი ჩვენი პატივცემული ამხანაგების წყალობით, მაგალითად ბლაღოჩინმა მღდელმა თეოდორე ზულისოვმა*) ბანკში შესანახათ შემოიტანა სამი წლის ვადით ას-ორმოც-და-ათი თუმანი ფული (1500 მან.) აგრეთვე სხვებმაც, რომელიც კიდეც გასესხდა.“

ამაზედ ხალხმა ერთბაშათ დაიგრიალა:—ძალიან კარგი იქნებაო, საჭიროა ფულები! საჭიროა!“

ამ დროს ერთი დაბალ-დაბალი ვაჭარი, რომელიც ფულებით ძალიან გაკუჭნულია, და ერთი ხაშმელი გლეხი დიმ. ქოქსაშვილი, რომელიც თუმანზე თუმანს ნაკლებ სარგებელს არ იღებს თურმე, გაგულადებული წარმოდგნენ და სთქვეს:

რათ გვინდა ჩვენ ბანკი, ხალხო! რას ამბობენ ფულები ვისესხოთო! რომ შეჭამონ, ხომ დავიღუპებით. არა, არ გვინდა, ხმა ამოიღეთ!“

ხალხი იცინის: ეს სულელი კაცი საიდგან შემოვარდაო. ამ დროს თავსმჯდომარემ უთ. ჯაბადარმა უთხრა, შენ შენი აზრი სთქვი, ხალხს რას ჰკითხავ, ხალხი თავისას იტყვის. ახლა წამოდგა წინ გარეჯელი გლეხი ზურაბ როსტიაშვილი და დაიწყო:

„ეს ოთხი წელიწადია ჩვენი ბანკი არსებობს, საქმე ძალიან მარჯვეთ მიდის, მე წილის გარდა შესანახათაც მაქვს ოც-და-თექვსმეტი თუმანი ფული, რომელშიაც ოთხ კაპეიკს ვიღებ მხოლოდ სარგებელს, განა არ შემიძლიან სხვასავით მეც მეტი სარგებლები ავიღო, მაგრამ ეს უსვინიდისობა იქნება. ბანკი გავმართეთ იმიტომ რომ საწყალ ღარიბ ხალხს ხელი მოუმართოთ, ისინიც მხარში ამოვიყენოთ ჩვენთან, მეტადრე წლევანდელს წელიწადს. რა ზარალი გვექნება ქალაქის ბანკიდგან ნაკლები სარგებლით გამოვიტანოთ და ჩვენ ათს სარგებელს ვიღებთ. მე საჭიროდ ვრაცხ, რო ბანკებიდგან ფული ვისესხოთ და ამ გაჭირებულ ხალხს უპურობისა გამო ხელი გავუმართოთ. რას იტყვით ხალხო?“

ხალხი ალტაცებით:—აგრე იყვეს, როგორც ზურაბმა სთქვა, აგრე! აგრე! ამაზედ ქოქრაშვილები. რომლებსაც ოც-და-ხუთ-ხუთი მანეთი ჰქონდათ შემოტანილი ბანკში, გაწყრნენ და იძახოდნენ: ამხანაგობიდგან დაგვითხოვეთო, ჩვენი ფულები მოგვეცითო.—თქვენი ფული როცა გნებავდეთ, მიიღეთ! ეუბნებოდნენ და დაითხოვეს ამხანაგობიდგან. იმათ ეგონათ, გავალთ თუ არა, ბანკიც დაიშლებაო და უკან გამოგვყვებიანო. მაგრამ გლეხები მეტათ მასხარათ იგდებდნენ და ამბობდნენ: ხაშმური წითელი ღვინით ხომ არ იყვნენ გაჭედილნიო! ზოგი კიდევ ამბობდა: არა, კაცო, ეგრე წინასწარები არიან სუდიაობაში და მამასახლისობაში არიან გაქნილნიო და მითომ მეტ ჭკუას სჩემობდნენო.

ა. კავთელი.

შახ-უსეინის დღესასწაული

შახ-უსეინის დღესასწაული თათრებს მოსდით წელიწადში ერთხელ, მთვარის ანგარიშით. წელს ხუთ ქრისტეშობას დაიწყეს და თუთხმეტს გაათავეს.

ჯერ დილა საღამოს მეჩითში სალოცავათ დადიან, თითო დღეს თითო შემთხვევას ლოცვით ამბობენ და როლს სწავლობენ. თუთხმეტს დილით, მეჩითის წინ დაიწყეს ყვირილი და ბარაბანის ბრახუნი ხალხის მოსაგროვებლათ. ყველა უბნიდგან უანგარიშო ხალხი პარტიობით მოდიოდნენ; ყველა პარტიას მოჰქონდა ბაირაღები და პატარ-პატარა ტრახტევანდები. როცა მოდიოდნენ, ბარაბანს უკრავდნენ, „შახსეი! ვახსეის“ ყვიროდნენ, ხმას ბარაბანს აყოლებდნენ და თან მოხტოდნენ.

მოგროვდნენ თუ არა, გამოჩნდა ერთი დიდი ტრახტევანდი გარეშემო სარკით და პრჭყვიალა ვარსკვლავებით მორთული. ზევით იჯდა მოლლა, რომელიც ბაიათის ხმით მოჰყვიროდა. ხალხს ეს ტრახტევანდი ყვირილითა და ალტაცებით მოჰქონდა. გვერდით მოჰყავდათ შეკმაზული ცხენი ტანისამოს-იარაღ დაკრული. რვა თუ ცხრა ბაირაღი მოჰქონდათ ძვირფას ნივთებით მორთული, ოთხ-ხუთ წყობა ბაჯაღლო ოქროთ აჩინჩხლული და ორი ბაირაღიც ხელებ წამოცმული. ხალხი სულ ხტომით მოდიოდა და გაჰქონდა ტიტველა თავებს ტყაპატყუპი. ვინ ჯოხს, ვინ ხელს ძალზე თავში იცემდნენ...

მეჩითთან რომ მოვიდნენ, შეიქმნა ტირილი. დედა-კაცები ჩადრ-ქვეშ ქვითქვითებდნენ და იძახოდნენ: „შახსეი! ვახსეი! ალი! ალი!“ ტრახტევანდში კუბო იდვა, კუბოში შახ-უსეინის ჩუჩელა. კუბოს ძირს ისხდნენ მკვდრის შვილები, ქალები თმა გაწეწილები.

მეჩითიდგან ქალაქს გარეთ წავიდნენ სამს თუ ორ ვერსზე. გზაზედაც ხტომით ცემით და ტირილით მიდიოდნენ. დანიშნულ ალაგს იდგა კარავი, გარს შემოერტყნენ, გააკეთეს დიდი სიგრძელე, ბაირახებით, ტრახტევანდებით შიგ შევიდნენ და დაიწყეს დიდხანს ხტომით სიარული.

ბოლოს ყველა გაჩუმდა, დაუკრეს მარში (მუზიკა აქაური ჰყავდათ მიწვეული). გამოჩნდა აქლემების ქარვანი რომელიც წარმოადგენს თითქო შახ-უსეინი თავის ცოლ-შვილით მიდის სალოცავათ ქაბას. გზაზე დაუხვდებიან სუნიტები და ტყვეთ წაიყვანენ. შახ-უსეინი გაისტუმრებს თავის უფროს შვილს გარდასახდელათ. გამოვლენ და დაიწყებენ ხანჯლების ტრიალს. უსეინის შვილს მოჰკლავენ და ქუდს მამას მიუტანენ. შიიტები ეუბნებიან, რომ ჩვენ ბევრნი ვართო, ჯარი ბევრი გვყავსო, ტყუილათ ნუ გამოდიხართ, თორე სუყველას ამოგწყვეტავთო. ამას რომ ეტყვიან, ხალხი სწყევლის მკვლელს. მარა უსეინი კიდე გაგზავნის თავის მეორე შვილს. ამასაც და კიდევ სხვა შვილს მოუკლავენ.

მერე უსეინიც თვითონ წავა. წასვლის დროს ხან-გრძლივ ლაპარაკობს, ამბობს, რომ რჯულს ყველამ თავი უნდა შევსწიროთო. ხუთი შვილი მამიკლესო და მეც ან უნდა მოვკვდეო და ან თავს უნდა დავახწიოთო. გამოეთხოვება სახლობას და წავა.

ხალხი ამ სიტყვებზე უფრო ტირილს და თავში ცემას უმატებს. უსეინსაც დასჭრიან და იმ დროს გამოვარდება იმის პატარა ვაჟი მამის მოსაშველებლათ. ამასაც დაიჭერენ, გაატიტვლებენ, ტიტველა გაექცევათ და მამას გარდაეხვევა. მამა წამოდგება და გარდახვეული კოჭლ-კოჭლობით დარბიან.

ბოლოს ორივეს მოჰკლამენ. კარავს ცეცხლს წაუკიდებენ და ამით გათავდება. მკვლელს ბევრ ფულს აძლევენო, რადგან ყველა არ კისრულობს ამ ცოდვიან როლის აღებას და ხალხისაგან წყევლასო.

პოლიციაც ესწრება, რადგან იმ დროს მაჰმადიანები ერთობ ალტაცებაში მოდიან და თავები არ დაიჭრანო. ვინც უფრო ბევრს იტირებს და ბევრს იცემს, ის უფრო მადლიანია.

რვა საათიდგან თორმეტ საათამდინ მოუნდნენ ამ ამბავს; მერმე მეჩითში დასხდებიან, სადაც ფლავი აქვთ დამზადებული და იქ სჭამენ.

მ. გ.

ბაქო, 11 იანვარს.

უცხოეთი

თფილისი, 29 იანვარს.

წრეულ უთავდება ვადა ინგლისის აწინდელ პარლამენტს. ხალხი ემზადება ახალის არჩევანისათვის, რომლის შედეგი ჯერ, რასაკვირველია, არავინ იცის. ორ დასთა შორის ქვემო პალატისას რომელი ერთი გამოვა გამარჯვებული ამ არჩევანიდამ—მთავრობის მომხრე, თუ მთავრობის წინააღმდეგი—ღმერთმა უწყის. ბრძოლა და აყალ-მაყალი არჩევანის თაობაზედ კი გაცხარებულია. არც არის გასაკვირველი, თუ მოვიგონებთ ინგლისის საპოლიტიკო ცხოვრებას ამ ბოლოს დროს. ბიკონსფილდის მთავრობის მეცადინეობა, როგორც მოგეხსენებათ, უმთავრესად მიქცეული იყო გარეშე პოლიტიკაზედ. რას არ მოჰკიდა ხელი ამ პოლიტიკამ, რომ როგორმე რაც შეიძლება შორს გასწდომიყო ინგლისის სახელი და გარეგანი დიდება. ბალკანის ნახევარ-კუნძულზედ, მცირე აზიაში, შუა აზიაში, აფრიკაში ინგლისის სახელისა, თუ მის თოფ-იარაღის ხმაურობა არ შემწყდარა. კონგრესის შემდეგ დიდის ამბით და ყოფით დაბრუნდა ბიკონსფილდი ბერლინიდამ, თითქო მთელი ცისძირეთი ფეხ-ქვეშ მოუგდიაო. მაგრამ, დახე ამ წუთი-სოფლის უმადურობას, ეხლა ლამის ფუჭად ჩაიაროს ყველა ამ სახელმა და დიდებამ. ლამის ბიკონსფილდი გადმობძანებულ იქმნეს იმ სიმაღლიდამ, რომელზედაც ასე მალე ასწია მისმა გამჭრიახობამ და ოსტატობამ. საქმე ის არის, რომ,—როგორც თითქმის ყოველთვის მოხდება ხოლმე ამ შემთხვევაში,—გარეგან დიდებას და სახელს ვერაფერი შინაგანი კმაყოფილება მოჰყვა ხალხისა. ხალხი, ბედ-კრული და გაჭირებული, სცხოვრობს ჩვეულებრივ იმ ინტერესებით, რომელნიც აწვებიან მას დღე-და-დღე. თუ გარეგან დიდებას და სახელს მსხვერპლათ მოსდევენ ეს ინტერესები, მაშინ ვერაფერი მადლობა მოელის ხალხისაგან ამ სახელდიდების დამამკვიდრებელს, თუ მეტადრე ამ დიდებას რამე ჩამოეჩხირა, როგორც, მაგალითებრ, ავგანიელების აჯანყება. ამ მხრით ბიკონსფილდის მთავრობა და მისი მომხრენი დიდ განსაცდელში არიან. მათ პირ-და-პირ დგანან გლადსტონი და მისი დასი. მართალია, ინგლისის საზოგადოება ემდურის გლადსტონს მის გულ-გრილობაზედ გარეშე პოლიტიკის შესახებ; მაგრამ მის შინაგანის პოლიტიკის ხსოვნა უსათუო თანაგრძნობას უქადის გლადსტონს, მით უფრო რომ გლადსტონის გულ-ტკივნეულობა ირლანდიისადმი უეჭვოა,—ირლანდიისადმი, რომელმაც ისე უცბად ჩაუშხამა ბიკონსფილდს მისი დიდება.

ამით, რასაკვირველია, იმის თქმა არ მინდა, რომ უსათუოდ გამარჯვებული გლადსტონი გამოვა მეთქი არჩევანიდამ. გამარჯვება არჩევანში მრავალ სხვა გარემოებაზედაც არის დამოკიდებული.

წვრილი ამბები. „მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია ტელეგრამმა რომიდამ 22 იანვარს: „ადენიდამ იწერებიან, რომ ზანგები დაეცნენ იტალიანელების კოლონიას ასსაბაში მეწამულ ზღვაზე. ჰგონიათ, რომ ამ დაცემის მიზეზი ინგლისის გავლენაა ამათზე.

— მადრიდიდამ იწერებიან ამავე გაზეთში, რომ იმ პირის საქმე, რომელსაც უნდოდა ისპანიის კოროლის მოკვლა, 8 თებერვალს გაირჩევა.

— ინგლისურ გაზეთში იწერებიან ლაგორიდამ 28 იანვარს, რომ დიდძალი უკმაყოფილო ხალხი შეუერთდა მაგომეტ-ჯანის ჯარს.

კაბულიდამ იწერებიან, რომ დასცემიან კელატ-ი-გილზაის.

— ამავე გაზეთში იწერებიან კაბულიდამ, რომ ინგლისურ ღენერალს რობერტს გაზნის აჯანყებულები, რომ ვითომ ისინი მზათ არიან იბრძოლონ იქამდის მინამ არ დააბრუნებენ ისევ იაკუბ-ხანს. შარ-კარში საცა გადავიდა ინგლისის ღუბერნატორი შახ-ბაზი ბევრნი არიან აჯანყებულები. კაბულიდამ დიდ-ძალი ინდუსის ვაჭარი გადავიდნენ პეშავერში რადგან ეშინიათ კიდევ აჯანყებისა.

---

*) ამ პატივცემული მღვდლისაგან ბანკი და დემო ყოველთვის თვეობით და ორ თვეობით უსარგებლოდ იმართავს ხოლმე ხელს. ასე თანაუგრძნობს ამ კეთილ საქმეს.

თფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებენ დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი გავრილსკი—ქალის ავათმყოფობისა, ლისიცევი—შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი—ქალისა და ყმაწვილების ავათმყ., ქიუზარიანცი—ხირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ზაზაევი—ნერვების ავათმყ., და შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

სამშაბათს: ექ. მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფ., ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეიხი—თვალისა, ზაზოვი—გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ზახუტოვი—ზებიობის, ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., ვერმიშევი—შინაგანის ავათმყოფობის.

ოთხშაბათს: გავრილსკი—ქალის ავათმყოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი—შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—ქალის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის, ზომერანცოვი—გულის.

ხუთშაბათს: ჟურავლევი—ყელისა და გულის ტკივილის, როტინიანცი ქალისა და ყმაწვილის ავათმყო., ქიუზარიანცი — ვენერიულ და საშარდე ასოების ავათმყოფ., ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: გავრილსკი — ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი — ხირურგიულის, ლისიცევი—შიგნეულის, ზახუტოვი—ზებიობის, ქალისა და ყმაწვილების, ზაზოვი—ნერვების და შიგნეულების, ასტვაცატუროვი—ვენერიულ და კანის, შტემბორსკი — ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

შაბათს: ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეიხი—თვალის ზაზოვი—გულისა და შიგნეულების და ვერმიშევი — შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი **ზაზაევი** მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ზაინდუროვის სახლი).

დოქტორი **ჟურავლევი** მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდინ სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი **ობრეხტი** ავათმყოფებს, ვისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპექ., ჩარათოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოში არის ბებია ავათმყოფი ქალებისათვის.

განცხადებანი

—

კერძოობითი

თფილისის სახელოსნო

კლუბი

თფილისის სახელოსნო კლუბის სტარშინების რჩევა აცხადებს, რომ რადგან 26 იანვარს არ შესდგა პირველი საზოგადო კრება, ამის გამო, თანახმად კლუბის წესდების § 12-სა, ის ხელ-ახლად სთხოვს უ.უ. წევრთ რათა მობრძანდნენ 2 თებერვალს საღამოს 7 საათზე.

(4—1)

თფილისის გუბერნიის გამგეობა (პრავლენიე) აცხადებს; რომ ამა 1880 წლის 21 თებერვალს იქნება მხოლოთ ერთხელ ვაჭრობა იჯარით გაცემაზედ ყარაიაზის სახელმწიფო საზამთრო სახალახე მიწებისა №№ 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, და 19, იჯარა მიეცემა სამის წლის ვადით 1880 წლის 1 ივლისიდამ.

დაწვრილებული პირობების (კანდიციების) შეტყობა მსურველს შეუძლიან გუბერნიის პრავლენიაში დილის 10 საათიდამ ნაშუა-დღევის 2 საათამდინ.

(5—5)



ამ კვირიდამ, 27 იანვრიდამ 1880 წ.

ბალაგანში

ცირკის გვერდით, ზუნიბის მაიდანზე საზოგადოებას აჩვენებენ

ჯერ აქ უნახავს მოვლენას:

ყველაზე უდიდესი ევროპაში

ქალი ამალია

და მთელს ქვეყანაში ყველა კაცებზე უფრო პატარა ადამიანები მარკიზი **გენრიხ ვოლგე** და მარკიზა **ლუიზა**

ადგილების ფასი: 1 ადგილისა 50 კაპ., მეორესი—30 კაპ. ბავშვებისთვის ნახევარი ფასია.

(5—3)

სავაჭრო სახლი

იაგ. კასუმოვი და კომპ.

სთხოვს ფაეტონების, დროშკების, ფურგუნების, პოვოზკებისა და სხვ. პატრონებს მობძანდნენ ბილეთების ასაღებად 1880 წლისათვის კანტორაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, თუმანიშვილის სახლებში.

(10—6)

ოთხშაბათს, 30 იანვარს

ქართულ ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქნება პირველად

I

ყომარბაზის ცხოვრება

ამ-მოქმედებიანი დრამა, ნათარგმნი ივ. კერესელიძისა

II

ბიძიასთან გამოხუმრება

ოპერეტტა, ერთ-მოქმ. გადმოკეთ. თ. რაფ. ერისთვისაგან

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსირთან და აზნაუროვის მაღაზიაში.

ანგარიში ივრის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა 1879 წ.

1 იანვარს 1879 წელს იყო:

შემოსავალი:	მანეთი.	კაპ	გასავალი:	მანეთი	კაპ
წილის ფული	2439	77	გასესხებული	5120	14
შესანახათ შემოტანილი.	490	„	ნაღდი ფული	181	61
ნასესხი	2017	60	ტფილისის საურთიერთო ნდობის ბანკში	100	„
სათადარიგო თანხა	40	52			
წმინდა მოგება 1877 და 1878 წლებისა	413	86			
ჯამი	5401	75	ჯამი	5401	75

მთელი წლის ანგარიში

ივრის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა, 1-ს იანვრიდგან, 1879 წელსა, 1-ს იანვრამდინ 1880 წელსა.

შემოსავალი:	მანეთი	კაპ	გასავალი.	მანეთი	კაპ
წლის ფული	483	51	წილის ფული	80	63
სარგებელი დაჭერილი სესხების დროს	792	17	მოგება წილზედ	135	28
— ახალი ვადის მიცემის დროს	8	20	გასესხებული ახალი ვადა მიუცემელი	7792	„
დაბრუნებული ნასესხი ახალი ვადა მიუცემელი	5046	„	გასესხებული ახალი ვადა მიცემული	40	„
— ნასესხი ახალი ვადა მიცემული	95	„	სარგებელი გადახდილი წინად გარდახდილი ნასესხისა.	3	3
ჯარიმა	93	69	სასარგებლოდ შემოტანილი	515	„
სასარგებლოდ შემოტანილის	2387	„	სარგ. სასარგებ. შემოტან.	1	26
ნასესხი	3200	„	ნასესხი	3217	60
სხვა-და-სხვა შემოსავალი	40	50	სარგებელი ნასესხებისა	233	71
1878 წლის კასიდგან გადმოვიდა ნაღდათ	180	81	სამმართველოს ხარჯი	30	5
			სხვ. და სხვ. გას. და ქონება	54	56
			მმართველის დასაჩუქრება	62	„
			კასაში იყო	161	76
ჯამი	12326	88	ჯამი	12326	88

პირველს იანვარს 1880 წელსა არის ნამდვილად.

შემოსავალი:	მანეთი	კაპ	გასავალი:	მანეთი	კაპ
წილის ფ. 400 ამხანაგისა.	2842	65	გასესხებული	7866	14
სასარგებლოდ შემოტან.	2362	„	კასსაში იყო ნაღდათ	161	76
ნასესხი	2000	„	ტფილისის საურთიერთო ნდობის ბანკში	100	„
სათადარიგო თანხა	74	89			
წმინდა მოგება 1877 და 1878 წლებისა	276	78			
წმ. მოგ. 1879 წ.	571	58			
ჯამი	8127	90	ჯამი	8127	90

წევრნი გამგეობისა:
- ალექსანდრე ცხვეთაძე
- ბლაღ. მღვდელი თედორე გულისოვი.

თავმჯდომარე სვირიდონ ჯაბადარი

წევრნი რჩევისა:
- მღვდელი აბრამ ნახუცაროვი
- გრიგოლ ბილანოვი
- თ. დიმიტრი ციციანოვი
- მღვდელი იოანნე ბედიევი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Января 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.